

ენიანიდან მოქმედების შესაძლებლობა, პოტენცია მხოლოდ მოქმედების პროცესში შეიძლება გამოვლინდეს და არა შედეგში.

წარმოებისა და, ნაწილობრივ, ფუნქციის მიხედვით (შედგვის აღნიშვნა) სიტყვა **ცვლილება** მეტი სახელური ნიშნებით ხასიათდება, ვიდრე **ცვალება**. ამიტომვე, რომ **ცვლილება** თავისუფლად იწარმოებს მრავლობითის ორსავე ფორმას: **ცვლილებები**, **ცვლილებანი**. მაგ.: **ბგერათცვლილებები // ბგერათცვლილებანი**, ან: **ფონეტიკური ცვლილებები // ცვლილებანი**, ძირეული **ცვლილებები // ცვლილებანი** საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კანონში **ცვლილებების // ცვლილებათა** (და არა **ცვალებების** ან **ცვალებათა**) **შეტანა** და ა. შ. **ცვალება** ფორმას კი, როგორც უფრო ზმნური თვისებების მქონეს, მრავლობითის წარმოება უჭირს, ცალკეულ სპეციფიკურ შემთხვევებში მისი ხმარება მხოლოდ ნარიანი მრავლობითის ფორმით შემოიფარგლება. შდრ.: **სახეცვლილება** (<სახეცვლილი) და მისი პარალელური **სახეცვალება**. მრავლობითში: **სახეცვლილებები // სახეცვლილებანი**, მაგრამ მხოლოდ **სახეცვალებანი** (და არა **სახეცვალებები**).

ცნობავს შემატუობინებს. არსებითი სახელის — **ცნობის** ერთ-ერთი მნიშვნელობაა: ოფიციალურად გადმოცემული ამბავი, უწყება (მაგ.: „საინფორმაციო ბიუროს **ცნობა**“). ეს სახელი ბუნებრივ შესიტყვებას ქმნის **მიაწვდის**, **მიიღებს**, **გადასცემს** ზმნებთან: **ცნობას მიაწვდის** = გადატ. **შეატყობინებს**, **გააგებინებს**.

შეატყობინებს ნიშნავს: აცნობებს, გააგებინებს. მაგ.: „საქმეს რომ მორჩე, მოდი, **შემატყობინე!**“ (აკაკი); „მეზობელმა უმაღ **შეატყობინა**... მართას თავგასული რძლის ოინები“ (მინ. მრევლ)... ეს ზმნა, ჩვეულებრივ, შესიტყვებას ქმნის **ამბავ-სახელთან**: **ამბავს შეატყობინებს**. მაგ.: „**შემატყობინე** შენი ამბავი“ (საუბ.).

ამ ორი გამოთქმის (**ამბავს შეატყობინებს** და **ცნობებს მიაწვდის**) კონტამინაციითაა მიღებული უმართებულო შესიტყვება **ცნობებს შეატყობინებს**. ამიტომ სტილისტიკურად დასახვეწია წინადადება: „**მან შეგვატყობინა** დიდმნიშვნელოვანი **ცნობები** [უნდა ყოფილიყო: **შეგვატყობინა** ამბები, ან: **მოგვაწოდა ცნობები**]“ („კომ.“).

წ

წარმატება; წარმატებული. წარმატება ძველი ქართული სიტყვაა, საბასთან განიმარტება, როგორც: „საქმით და სწავლით მატება სხვაზე“. ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ იგი განმარტებულია, როგორც: აღორძინება, წაჭარბება, გადამეტება, წინ-

სვლა. ქეგლ-ის მიხედვით წარმატება არის: 1. კარგი შედეგის მიღება, გამარჯვება; 2. წინსვლა, პროგრესი, განვითარება; 3. დაწინაურება, წარჩინება; 4. პატივი.

ძირითადი მნიშვნელობა სიტყვა წარმატებისა გულისხმობს მიღწეულის მაღალ დონეს, კარგს, დადებითს. სწავლით სხვაზე მეტობის მნიშვნელობით დამკვიდრდა სასკოლო პრაქტიკაში გამოთქმა აკადემიური წარმატება, რომელთანაც დამატებით მსაზღვრელებად გამოიყენება ანტონიმური სემანტიკის სიტყვები — მაღალი და დაბალი. მაგ.: საზოგადოების დიდი იდეურ-აღმშრდელობითი მუშაობა უდავოდ დაეხმარება ჩვენს სკოლას ახლო მომავალში მთლიანად შეინარჩუნოს მოსწავლეთა კონტინგენტი და უზრუნველყოს მათი მაღალი აკადემიური წარმატება („სკ. ჯა ცხოვრ.“); მისმა კლასმა უაბალი აკადემიური წარმატებით დაამთავრა ეს მეოთხედი“ („სახ. გან.“). აკადემიური წარმატების საპირისპირო მნიშვნელობის შესიტყვებაა აკადემიური ჩამორჩენილობა, ზოგადი, ნეიტრალური ვითარების აღსანიშნავად კი გამოიყენება აკადემიური მოსწრება. ასეთ შემთხვევაში მსაზღვრელებად მაღალ-ისა და დაბალ-ის გამოყენება შრომითი მაჩვენებლების დიაგრამებით გამოხატვის პრაქტიკის ამსახველი და ენას მათი ხმარება მექანიკურად შემორჩა. მაღალი წარმატება თანამედროვე ქართულში აზრობრივად შეუფერებელი სიტყვების შეერთებაა. წარმატებასთან ზედმეტია ასეთი სემანტიკის მქონე მსაზღვრელი. მაგ.: „მაღალ წარმატებებს მიაღწია ძალოვანი კვანძის მეხუთე უბნის კოლექტივმა“ („მებრძ.“).

მაღალი აკადემიური წარმატების საპირისპიროდ ზოგჯერ გაუაზრებლად ხმარობენ დაბალ აკადემიურ წარმატებას. ეს უკანასკნელი სხვა მხრივაც გაუმართლებელი შესიტყვებაა, ვინაიდან ურთიერთგამომრიცხავი სემანტიკის მსაზღვრელ-საზღვრულს შეიცავს (დაბალი წარმატება). ასეთ შემთხვევაში უნდა იხმარებოდეს დაბალი აკადემიური მოსწრება ან, უფრო ბუნებრივად: ცუდი ან საშუალო აკადემიური მოსწრება.

სხვა შემთხვევებში, მსაზღვრელის — აკადემიურის გარეშე ხმარებისას სიტყვა წარმატებას შეეხამება, ერთი მხრივ, დადებითი სემანტიკისან წარმატების სათანადო შეფასების გამოხატეელი სიტყვები (დიდი, უდიდესი, სასახლო, საგრძნობი და მისთ.), მეორე მხრივ, სიტყვა-შტამები (საკმაო, ერთგვარი, ხელშესახები და მისთ.). მაგ.: „გურჯაანის ღვინის ქარხანამ დიდი წარმატება მოიპოვა“ („საქ. ქალი“); „კიდევ ერთ სასახლო წარმატებას მიაღწია საქსპორტვაჭრობის კოლექტივმა“ („ლელო“); „გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებს მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში საგრძნობი წარმატებები

აქეთ“ („სკ. და ცხოვრ.“); „საბჭოთა ძალოსნებმა წლევანდელი წელი საკმაო წარმატებით დაიწყეს“ („ლელო“); „გასულ წელს ერთგვარ წარმატებებს მიაღწია ვერხვიანის კოლმეურნეობის მსხვილფეხა პირუტყვის ფერმის კოლექტივმა“ („ივრ. განთ.“); „ხელშესახები წარმატებით გააცილეს ხუთწლედის პირველი წელი გორას კოლმეურნეობის მევენახეებმა“ („განთ., ვანი“); „იგი კარგად უძღვება სამეურნეო საქმიანობას და ხელშესახები წარმატებებიც აქვს მოპოვებული“ („ლელო“).

სიტყვა წარმატებასთან ხმარებული ნეიტრალური სემანტიკის შტამპი-მსაზღვრელები (საკმაო, ერთგვარი, ხელშესახები და მისთ.) არაფრისმოქმედი, უსარგებლო სიტყვებია, როგორც საერთოდ, ყოველგვარი ლექსიკური შტამები.

სიტყვა წარმატება მსაზღვრელებად ვერ იგუებს დადებითი სემანტიკის ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: მაღალი, კარგი, შესანიშნავი, ჩინებული და მისთ. მაგ.: „მან ნოემბრის თვეში [უნდა იყოს: ნოემბერში. ის. თვე] მაღალ წარმატებებს [უმჯობესია: დიდ წარმატებებს] მიაღწია“ („მებრძ.“); „მან კარგი წარმატებით [ხედმეტია: კარგი] დაამთავრა აბასთუმნის საშუალო სკოლა“ („მებრძ.“); „დიდ თარიღს მოძმე ხალხი ახალ-ახალი შესანიშნავი წარმატებებით [უმჯობესია: დიდი წარმატებებით] შეხვდა“ („სახ. გან.“).

წარმატება ფორმისაგან არის ნაწარმოები ზმნისართი წარმატებით და მიმღობა წარმატებული. ზმნისართის ფორმა ამოსავალია წიგნური ფორმის მსაზღვრელისათვის — წარმატებითი. წარმატებული და წარმატებითი სინონიმურად გამოიყენება მოქმედების სახელებთან: წარმატებითი მუშაობა (ძიება, გამოცდა...), წარმატებული შრომა (მეხვედრა, სხდომა, ოპერაცია, ვიზიტი, ძიება, ვასტროლები...). ასეთა შესიტყვებებით აღინიშნება მოქმედება, რომელსაც ახლავს (ან ახლდა) წარმატება. მაგ.: „ჩვენი შეხვედრები ერთობ წარმატებული გამოდგა“ („კომ.“). „ახლახან დამთავრებული სამდივნოს სხდომა იმდენად დიდმნიშვნელოვანი და იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ... კიდევ დიდხანს დაგუბრუნდებით ზოლმე მას“ („კომ.“); „ოთხას ბაეშვს გაუკეთდა ზონდირება, სამასზე მეტს — წარმატებული ოპერაცია“ („კომ.“) და მისთ.

წარმატებული, წარმატებითი ხელოვნური, წიგნური ელფერის მქონე მსაზღვრელებია და სალიტერატურო ენის მოხმარების ყველა სფეროში ერთნაირად დასაშვები ვერ იქნება.

წარმოადგენს ზმნა ომოფორმულია. იხმარება როგორც ორპირიანი გარდამავალი ზმნა და როგორც გარდაუვალი სტატიკური ზმნა, რომელსაც მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყება ეწარმოება. პირველი მნი-

შენელობით იგი ყველაზე ხშირად სცენაზე განსახიერების, სპექტაკლის ჩვენების აღსანიშნავად იხმარება. მაგ.: „პირველად წარმოადგინეს სამმოქმედებიანი კომედია“ (ილია); მეორე მნიშვნელობით კი იგი არის ზმნის უტოლდება. ოღონდ, ასეთ შემთხვევებში უფრო ბუნებრივი ჩანს მისი გამოყენება უკუთქმითი შინაარსის წინადადებებში. მაგ.: „თვეში შვიდი მანეთი და კიდევ ნახევარი დიდს არაფერს წარმოადგენს“ (ჭ. ლომთ.).

უკანასკნელ ზანს ეს ზმნა შესამჩნევად გააქტიურდა სწორედ არის ზმნის ფუნქციით და მისი მნიშვნელობა გაუტოლდა არის/იყო დამხმარე ზმნების მნიშვნელობას. ამასთან, ძალზე გახშირდა მისი გამოყენება წართქმით წინადადებებში. მაგალითად: „მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენის თავიდან აცილების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას სახელმძღვანელოებზე, საერთოდ, წიგნზე მუშაობის დადებითი წესებისა და ზერხების სწავლება წარმოადგენს“ („სკ. და ცხოვრ.“); „გამოკვლევა დადებით მოვლენას წარმოადგენს“ („საქ. კომ.“); „საეარგულების დიდი ნაწილი წარმოადგენს საძოვრებს“ („საქ. კომ.“); „დღითილდე მტკიცდება ჩვენი ქვეყნის ძლიერება, რაც კლასობრივი მტრისადმი უდიდესი რისხვას წარმოადგენს“ („სკ. და ცხოვრ.“) და მისთ.

ხაზგასმულ შესიტყვებებში წარმოადგენს შედგენილი შემასმენლის მეშველი ზმნის ფუნქციითაა ნახმარი. შესაბამისად, ღონისძიებას წარმოადგენს = ღონისძიება; მოვლენას წარმოადგენს = მოვლენა; საძოვრებს წარმოადგენს = საძოვრებია; რისხვას წარმოადგენს = რისხვა.

განხილულ შესიტყვებათა ანალოგიით შექმნილა გაუმართავი გამოთქმა: ინტერესს წარმოადგენს, რომელშიც წარმოადგენს ზმნას არც არის ზმნის მნიშვნელობა აქვს და აღარც საკუთრივ თავისი. შდრ.: „ლელოს“ მკითხველთათვის ინტერესს წარმოადგენს [უნდა იყოს: საინტერესო იქნება] ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა მიერ მიღებული შეფასებანი“ („ლელო“). „დიდ ინტერესს წარმოადგენდა თათბირზე მოსმენილი მოხსენებები [უნდა იყოს: დიდი ინტერესი გამოიწვია... მოხსენებებმა] ავტომატიკის კონტროლსა და კოსმოსურ სამყაროში მის გამოყენებაზე“ („კომ.“); „ამიტომაც იგი, ვითარცა მორწმუნე, ღმრთის მოციქულისათვის დიდ ინტერესს არ წარმოადგენდა [უნდა იყოს: სრულიად უინტერესო იყო, ან: დიდად საინტერესო არ ყოფილა]“ („ლიტ. საქ.“).

ინტერესი ლათინური სიტყვაა (ლათ. interest = მნიშვნელობა აქვს, მნიშვნელოვანია), ქართულში რუსულის გზით დამკვიდრებული. დღეს ქართული ენა ამ სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობით ხმარობს: მიზანი, მისწრაფება, მოთხოვნილება, რისამე გაგების, გაცნობის, შეს-

წავლის სურვილი, რისამე ხელში ჩაგდებას, მოპოვების სურვილი. თანამედროვე სალიტერატურო ქართული აღნიშნულ სახელს ძალიან მარჯვედ და თავისუფლად იყენებს. **ინტერესი აღეძრა, ინტერესს იჩენდა, ინტერესით ადევნებს თვალს, ინტერესს იწვევს და მისთ.** ბუნებრივი ქართული გამოთქმებია. უჩვეულო და მცდარია (წართქმითი მნიშვნელობითაც და უკუთქმითითაც) შესიტყვება **ინტერესს (არ) წარმოადგენს / წარმოადგენდა**, ის უნდა შეიცვალოს სხვა შესიტყვებებით: **ინტერესს იწვევს (ინტერესი გამოიწვია), საინტერესოა, ყურადღებას იქცევს / იპყრობს...** და მისთ.

წარმოებას; წარმოება. ამ ფორმათა წინადადებაში უმართებულო გამოყენების შესახებ იხ. **აწარმოებს, წარმოებს; წარმოება.**

წესრიგში / წესრიგზე მოჰყავს. სიტყვა წესრიგის ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობაა: წესის მიხედვით გამართული, მოგვარებული ვითარება. ამ ფუძისაგან არის ნაწარმოები ზმნა **აწესრიგებს**; წესრიგს ამყარებს, უწესრიგობას ბოლოს უღებს. ეგვე მნიშვნელობა აქვს შესიტყვებას **წესრიგში მოჰყავს**. ეს გამოთქმა ქართულში რუსულის ანალოგიით გავრცელდა (შდრ. привести в порядок что-л.), განსხვავებული შინაარსობრივი ნიუანსი შეიძინა და სალიტერატურო ენაში არსებობის უფლება მოიპოვა. გამოთქმას **წესრიგში მოჰყავს** მარტივ **აწესრიგებს** ზმნასთან შედარებით ოფიციალური და საქმიანი ელფერი აქვს. ამიტომაც არის, რომ იგი უპირატესად საქმიანი ურთიერთობის სფეროში გამოიყენება: „**წესრიგში მოჰყავთ** საცხოვრებელი სახლები“ („კომ.“); „**გზები წესრიგშია მოყვანილი**“ („კომ.“); „**წესრიგში მოჰყავთ ტრაქტორები**“ („სოფლ. ცხოვრ.“); „**შეჯიბრების ორგანიზატორებმა ყველა ღონე იხმარეს, რათა... საციგურაო წესრიგში მოყვანათ**“ („თბილ.“).

აღნიშნული გამოთქმის ხმარებისას -ში თანდებულის კონსტრუქციას — **წესრიგში მოჰყავს** — ენაში -ზე თანდებულის კონსტრუქცია — **წესრიგზე მოჰყავს** — ენაცვლება: „...**აუცილებელია წესრიგზე მოყვანოთ** თქვენი ავტომანქანები“ („თბილ.“); „**როდის მოყვანენ ჩვენს ქუჩას წესრიგზე?**“ („თბილ.“); „**მშენებლები დაჰპირდნენ მოსახლეობას, როგორც კი მიწების ჩაწყობას დავემთავრებთ, თბრილებს ამოვაყვებთ და ეზოს წესრიგზე მოვიყვანოთ**“ („თბილ.“); „**სამი დღის განმავლობაში ეზო და სახლ-კარი წესრიგზე მოვიყვანეთ**“ („სოფლ. ცხოვრ.“).

აღნიშნული -ზე თანდებულის კონსტრუქცია ნაწარმოები ჩანს ყველაფერი **რიგზეა** კონსტრუქციის ანალოგიით. სალიტერატურო ენის თვალსაზრისით უპირატესობა ტრადიციულ -ში თანდებულის კონსტრუქციას — **წესრიგში მოჰყავს** — უნდა მიენიჭოს.

წესრიგში (//წესრიგზე) მოჰყავს და, ასევე, **წესრიგ-** სახელით შედგენილი ზოგი სხვა გამოთქმა (**წესრიგშია**, **წესრიგში აქვს**) იფართოებს გამოყენების არეს და თანდათან ავიწროებს სემანტიკურად ახლოს მდგომ ზმნებს. ასე მივიღეთ: **წესრიგში** მოიყვანა ტრაქტორები, ავტომანქანები, სახლები, ხიდეები, სამზარეულო, კაბინეტი, დანაგვიანებული ეზო, გაფუჭებული წყალსადენის ონკანი, თმები, ფრჩხილები და სხვ.

წესრიგში მოჰყავს (აწესრიგებს) ფორმას კრებსითი შინაარსი აქვს. იგი ერთდროულად ჩატარებული რამდენიმე სხვადასხვა სახის სამუშაოს (ოპერაციის) საბოლოო შედეგს გვიჩვენებს. ამიტომ ცალკეულ შემთხვევაში მას უპირატესობაც კი აქვს კონკრეტული მნიშვნელობის მქონე მარტივ, ზმნებთან შედარებით. მაგრამ ზოგჯერ, როცა გადმოსაცემი შინაარსი ამის შესაძლებლობას მოგვცემს, მიზანშეწონილი იქნება ყოველ კერძო შემთხვევაში კონტექსტის შესაფერისი ზმნის გამოყენება. ამით კონტექსტიც მეტ კონკრეტულობას შეიძენდა და თავად შესიტყვებაც (**წესრიგში მოჰყავს**) შეინარჩუნებდა. იმ შინაარსობრივ ნიუანსს, რომელმაც სალიტერატურო ენაში მისი (ამ კონსტრუქციის) დამკვიდრება განსაზღვრა. ყოველ კერძო შემთხვევაში შეიძლება: ტრაქტორები გაარემონტონ, ხიდეები შეაკეთონ, სამზარეულო დაალაგონ, დანაგვიანებული ეზოდან ნაგავი გაიტანონ (ან: ეზო დაასუფთაონ), გაფუჭებული წყალსადენის ონკანი შეაკეთონ (ან: გამოცვალონ), თმები დაივარცხნონ და სხვ. მაგალითად: „გზები **წესრიგშია მოყვანილი** [შეიძლებოდა: გზები შეკეთებულა]“ („კომ.“); „**მოსწავლეებმა წესრიგზე მოიყვანეს** [შეიძლებოდა: დაალაგეს] ფიზიკის კაბინეტი“ („სახ. გან.“); „სახლის წინამდებარე ტერიტორია **წესრიგზეა მოყვანილი** [შეიძლებოდა: მოწესრიგებულია, გასუფთავებულია]“ („თბილ.“).

ამგვარი ჩანაცვლება იმიტომაც არის სასურველი, — თუ აუცილებელი არა, — რომ თავიდან ავიცილოთ ლექსიკური ერთფეროვნება და შტამპები.

წვლილი ძველ ქართულში **წვრილს** ნიშნავდა (**წულილი** — მწვლილი ხურდა, **წვრილი**, — ძქელ). თანამედროვე ქართულში ამ მნიშვნელობით იხმარება **წვრილი**, ხოლო **წვლილი** თანდათან დაშორდა თავის პირვანდელ მნიშვნელობას და მხოლოდ მეტაფორული გაგებით-ღა იხმარება. **წვლილს** შეიტანს ნიშნავს: მონაწილეობას მიიღებს, შრომითს წილს შეიტანს ამა თუ იმ საქმეში.

წვლილი, თანამედროვე გაგებით, ფაქტობრივად **წილის** სინონიმური მნიშვნელობით იხმარება, შესიტყვება — მისი **წვლილი** — გააზრებულ იქნა, როგორც მისი წილი, ე. ი. საერთო (საოჯახო, საქვეყნო...) საქმე, მის წილად რომ მოდის; ხოლო გამოთქმა **წვლილი** შეიტანა გაუ-

ტოლდა გამოთქმას **წილი უდევს**. ამგვარმა გააზრებამ შეცვალა **წვლილთან** სხვა სიტყვების შეხამების შესაძლებლობებიც: რაკი სიტყვა **წილთან** თანაბრად შეიძლება შეგვხვდეს მსაზღვრელებად **დიდიცა** და **მცირეც**, **მნიშვნელოვანიცა** და **უმნიშვნელოც**, იგივე მსაზღვრელები დაუკავშირდა **წვლილსაც**. მაგ.: „...**წვლილი** მოკრძალებული კი არა, **დიდი** უნდა იყოს“ („კომ.“); „**მან დიდი წვლილი** შეიტანა ...სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნაში“ („კომ.“); **მნიშვნელოვანი წვლილი** შეიტანა ანჯაფარიძემ ჩვენი საობერო საქმის განვითარებაში“ („თბილ.“). მეტიც, თანამედროვე ქართულში **წვლილს** ისეთი მოულოდნელი მსაზღვრელებიც დაუკავშირდა, როგორცაა: **სოლიდური, ფასდაუდებელი, ფუძემდებლური...** მაგ.: „ამ საქმეში თავიანთი **სოლიდური წვლილი** უნდა შეიტანონ... ბრესამ, რადიომ, ტელევიზიამ“ („საქ. აგიტ.“); „**მან მარქსიზმის საგანძურში ფასდაუდებელი წვლილი** შეიტანა“ („უესკოლაში“); „**შობლიური ისტორიის შესწავლაში ფუძემდებლური წვლილი** რომ შეიტანო, საკმარისი არ არის გქონდეს უზარმაზარი ტალანტი“ („ცისკ.“). რადგან **წვლილი** რალაც შესატანის, მთელის ნაწილია, ამიტომ აღმატებითი შინაარსის მსაზღვრელთა ხმარება ამ სიტყვასთან არ არის გამართლებული.

სიტყვა **წვლილის** თავდაპირველი მნიშვნელობის დაბნელებას მოჰყვა სხვა უზუსტობებიც. კერძოდ **წვლილი** სტილისტიკურად შეფერილია, იგი მხოლოდ დადებითი მნიშვნელობით შეიძლება იყოს ნახმარი. ამიტომ ტავტოლოგიური შინაარსისაა გამოთქმები: **დადებითი წვლილი, საპატიო წვლილი, ღირსეული წვლილი, ღირსშესანიშნავი წვლილი, ძვირფასი წვლილი, თვალსაჩინო წვლილი, მკაფიო წვლილი...** გამოყოფილი მსაზღვრელები ზედმეტია ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში: „საინტერესოდ არის ნაჩვენები ის **დიდებითი წვლილი**, რაც დიდი ბრიტანეთის უკეთესმა წარმომადგენლებმა შეიტანეს საერთო-საკაცობრიო კულტურის საგანძურში“ („კომ.“); „გამრავლოთ მინდვრის ხევი და ბარაქა, **საპატიო წვლილი** შეეიტანოთ 14 000 ტონა მარცვლეულის დამზადებაში“ („კომ.“); „**დიახ**, ეს ძალა დაეხმარა ქართველ ხალხს... თავისი **ღირსეული წვლილი** შეეტანა ინდუსტრიალიზაციაში“ („კომ.“); „**ბულგარელები** დიდ პატივს გცემენ... მადლიერი არიან თქვენი **ღირსშესანიშნავი წვლილისათვის** ჩვენი სამშობლოს უახლეს ისტორიაში“ („კომ.“); „იმისათვის, რომ სრულიად გავითვალისწინოთ ის დიდი და **ძვირფასი წვლილი**, რომლითაც კ. გამსახურდია ამდიდრებს თანამედროვე ქართულ მწერლობის... საგანძურს. საჭიროა... გავიხსენოთ... გოეთესადმი მიძღვნილი ბიოგრაფიული რომანი...“ („ქართ. ლიტ.“)

წვლილი არასწორად დაუწყვილდა შემდეგ ზმნებსაც: **გაიღო** (შდრ. **წილი გაიღო**), **უთავაზა**, **ამრავლონ...** მაგ.: „ემიმ შემოურბინა სკვერს, მივიდა მათხოვართან და თავისი წვლილიც უთავაზა [უნდა იყოს: თავისი წილიც შესთავაზა, ან: მისცა]“ (ალ. გამყრ., თარგმ.); „საპარიკმახეროს მოწყობაში ყველამ თავისი წვლილი გაიღო [უნდა იყოს: შეიტანა] („მნათ.“); „წლითიწლობით იზრდება ქართველ მეცნიერთა წვლილი [უნდა იყოს: ხვედრითი წილი] დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადაჭრის საქმეში“ („კომ.“); „ესწრაფვიან ამრავლონ თავიანთი წვლილი [უნდა იყოს: თავიანთი წვლილი შეიტანონ] ხალხთა მეგობრობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებაში“ (სამშ.“).

წილ- სახელის მნიშვნელობაა: ულუფა, ხვედრი, კუთვნილი. იგი არაერთ რთულ სიტყვას აწარმოებს, — მათი ბირველი კომპონენტია. ზოგი ამგვარი სიტყვის ხმარებასთან დაკავშირებით თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში წარმოიშვა რიგი გაუგებრობა თუ უხერხულობა.

1. **წილნაყარი; წილნაყარობა**, რთული შედგენილობის მიმღეობა **წილნაყარი** ნიშნავს: ვისაც წილი უყარეს ან ვინც წილი იყარა: „ომის კარს ეხოციღვართ, ჩვენც იქ დავდგებით, სიკვდილისათვის დღეს წილნაყარი!“ (გ. ლეონ.); 2. რაზედაც, რისთვისაც წილი ყარეს. **ღმერთთან წილნაყარი** — ღმერთის თანაბარი, სწორად: „ადიდეს დიდი თამარი, — ის ღმერთთან წილნაყარია“ (ვაჟა); „ვისაც სმენია ვაჟას ღვთიური სიტყვის ძალით უკვდავებასთან წილნაყარი ჰელოს ტრაგიკული ისტორია...“ („ახ. კომ.“).

ამ უკანასკნელი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა **წილნაყარი** და მისგან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელი **წილნაყარობა** თანამედროვე ქართული ლექსიკის პასიურ მარაგს განეკუთვნება. იგი ვერ ასცდა ამგვარი სიტყვების ხელოვნურად გაცოცხლება-გააქტიურების თანმდევ პროცესებს, კერძოდ — სემანტიკურ გადაწყვეას. ამ შემთხვევაში მნიშვნელობის ცვალების მიზეზი ზედაპირულია — ნასაზრდოებია მარტივი ასოციაციური კავშირით.

ქართულში **წილ-** სიტყვის მონაწილეობით რამდენიმე გამოთქმა ან რთული სიტყვა გვაქვს: **წილხვედრი**, **წილხელომილი**, **წილად ხვდა წილად ერგო**, **წილი ყარეს**, (რამეში) **წილი უდევს**, **წილი (არა) აქვს** და ა. შ. ვინაიდან მოზიარეობის აღსანიშნავად იხმარება ამავე სიტყვის შემცველი ორი მყარი გამოთქმა: ერთი მხრივ -**თან** თანდებულისან სახელთან შეხამებული კომპოზიტი **წილნაყარი**, ხოლო, მეორე მხრივ, -**ში** თანდებულისან სახელთან შეხამებული გამოთქმა **წილი უდევს**, ეს ორი კონსტრუქცია შეირია ერთმანეთში, რამაც ხელი შეუწყო **წილ-**

ნაყარი, წილნაყარობა სიტყვების დამახინჯებულ ხმარებას. შდრ.: „...რადგან ყველას ვერ ჩამოვთვლით..., მხოლოდ ... გამარჯვებაში წილნაყარ შეიდეულს გაგაცნობთ“ („კომ.“). აქ შესიტყვება გამარჯვებაში წილნაყარი შეიდეული სინამდვილეში გულისხმობს იმათ, ვისაც წილი უდევს გამარჯვებაში (რომელიც მათი მოპოვებულია: გამარჯვებისათვის წილს არ ყრიან!). ამიტომ აჯობებდა იგივე აზრი ასე თქმულიყო: გაგაცნობთ მხოლოდ იმ შეიდეულს (შვიდ კაცს), რომელსაც წილი უდევს (აქვს) გამარჯვებაში.

სხვა შემთხვევაში სიტყვა წილნაყარობა საერთოდ თანდებულიანი სახელის ვარეშეა მოყვანილი, სემანტიკა კი თანდებულიანი კონსტრუქციისა აქვს შერჩენილი: მოზიარეობა, თანაზიარობა. შდრ.: ჩვენ ყველას გაგვივლია ამ ქალაქში კოლექტიური ეთიკის დაწყებითი სკოლა. აქ ვეზიარეთ წილნაყარობის [უნდა იყოს: კოლექტიურობის, თანაზიარობის] გრძნობას, იმ წილნაყარობისას, ოჯახურ წრეს რომ სცილდება და ღვიძლად, შენეულად აღგაქმევენებს საზღს, ქუჩას, ქალაქს, ქვეყანას“ („კომ.“). სიმოკლის მიუხედავად, სტილისტიკურად გაუმართავია სათაურად გატანილი შემდეგი წინადადებაც: „აღზრდა მომავალთან წილნაყარობაა“ („კომ.“). აქ -თან- თანდებულიანი სახელის მიუხედავად, წილნაყარობა მაინც თავის ადგილას არ არის ნახმარი: ჯერ ერთი, ლოგიკური მახვილი აღზრდაზე უნდა იყოს და არა მომავალზე (აღზრდაა კარგი მომავლის საფუძველი და არა პირუკუ). ამიტომ აღზრდასთან წილნაყარობაზე უნდა ყოფილიყო საუბარი, თუმცა სიტყვა წილნაყარობა ამ კონტექსტში მაინც უადგილოა. აჯობებდა მარტივად ასე თქმულიყო: სწორი აღზრდა კარგი, ბედნიერი მომავლის საფუძველია.

2. წილხვედრი მიღებულია ზმნური შესიტყვების — წილად ხვდა — უპირო ფორმად, მიმღობად შემქიდროების შედეგად. მაგ.: „არა, უფალი სულ არ გაწირავს ღვთისმშობლის წილხვედრ საქრისტიანოს“ (აკაკი). სინტაქსურად ამოსავალ კონსტრუქციაში ორპირიანი ინვერსიული ზმნა ივარაუდება: ხვდა მას (ღვთისმშობელს) ის (საქრისტიანო). უპირო ფორმის შემცველ რთულ სიტყვასთან აღრე მიცემითში მღვამი სახელი ახლა ნათესაობითში დადგება (ღვთისმშობლის წილხვედრი). ამიტომ გრამატიკული და სემანტიკური თვალსაზრისითაც არასწორადაა დაკავშირებული სიტყვა წილხვედრი სხვა სახელებთან შემდეგ წინადადებაში: „სიყვარულის სამკუთხედი პლანეტის ყველა კუთხეში ფსიქოლოგიურ დრამამდეა ამალღებული... და უმეტეს შემთხვევაში ტრაგიკული დასასრულის წილხვედრია“ („თბილ.“). მოცემულ კონტექსტში არეულია მოქმედების სუბიექტ-ობიექტი და, შესაბამისად, ბრუნვის ნიშნებიც. უნდა ყოფილიყო: „მისი (სიყვარულის) წილხვედრია ტრაგიკული დასასრული“, — ვინაიდან სიყვარულს

შეიძლება წილად ხვდეს ტრაგიკული დასასრული (სიყვარული დასრულდეს ტრაგიკულად) და არა პირუკუ: ტრაგიკულ დასასრულს — სიყვარული.

წილად ხვდა, წილად მარბო. ეს სინტაგმები თავიანთი აგებულებით სახელურ-ზმნურია. მათი პირველი ნაწილი — **წილი** აღნიშნავს: რაც ვისმე ერგო, — ხვედრი, კუთვნილი, კერძო, ულუფა; აქედან, **წილად ხვდა, წილად ერგო** ნიშნავს: ერგო, მისი ხვედრი გახდა, მიიღო, და, მაშასადამე, გულისხმობს ვინმეს მიერ ისეთი რამის მიღებას, რგებას, რომელიც მას რაიმეს ფასად (შრომის, ბრძოლის...) კი არ მოუპოვებია, კი არ დაუმსახურებია, არამედ განაწილებით შეხვედრია, კენჭისყრით რგებია...: „მანუჩარს კარგი მამული ხვდა წილად, როცა გაეყო თავის დებსა და ძმებს“ (ე. ნინოშვი.); „დიდად ბედნიერი ვარ, რომ მე **მხვდა წილად** ამ სასამოვნო ამბის **მოხსენება**“ (ი. მაჭავ. თარგმ.)...

ზოგჯერ არ ითვალისწინებენ ამ ფორმათა აღნიშნულ მნიშვნელობას და მათ შეუფერებელ კონტექსტში ხმარობენ. იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც **წილად ხვდა, წილად ერგო** უკავშირდება სპორტულ თუ შრომითს საქმიანობაში მოპოვებული შედეგის გამომხატველ სიტყვებს: **ადგილი, მედალი, დიპლომი, ჭილდო, გამარჯვება** და მისთ. ცხადია, როგორც სპორტულ, ისე სხვა სახის საქმიანობაში გარკვეულ შედეგს, და მით უმეტეს წარმატებას, ჩვეულებრივ, აღწევენ შეჯიბრების, პაექრობის, კონკურსის... შედეგად და, რა თქმა უნდა, დიდი ენერჯის, შრომის, სპორტული თუ შემოქმედებითი ბრძოლის საფასურად, ამდენად, დამსახურებულად და კანონზომიერადაც. ამიტომ ასეთ სიტუაციაში ამ შინაარსის გადმოსაცემად იხმარება ზმნები: **მოიპოვა, დაიმსახურა** და მისთ., და არა **წილად ხვდა, წილად ერგო**.

ამის მიზეზით სტილისტიკურად გასამართაეა შემდეგი წინადადებები: „**მეორე საპრიზო ადგილი და ვერცხლის მედლები წილად ხვდა** თბილისის „დინამოს“ [უნდა იყოს: მოიპოვა თბილისის „დინამომ“]“ („სამშ.“); „ჩვენ ვნახეთ ბევრი **ჭილდო** და **პრემია**, რომელიც **წილად ხვდა** თავის შემოქმედებით გზაზე რეჟისორს [უნდა იყოს: რომელიც დაიმსახურა რეჟისორმა]“ (ტელეგად.); „**მესამე ადგილი წილად ხვდა** ნინიგორის ქალთა და ეარდისუბნის ვაჟთა გუნდებს [უნდა იყოს: მოიპოვეს... გუნდებმა]“ („გამარჯვ. დროშა“); „აკაკი მესხიშვილის და დათო მანგოშვილის ნამუშევრებს **წილად ხვდათ მეორე ხარისხის დიპლომი** [უნდა იყოს:... ნამუშევრებმა მეორე ხარისხის დიპლომი მიიღეს, დაიმსახურეს]“ („გამარჯვ. დროშა“), „არც ერთხელ არ რგებია **წილად** [უნდა იყოს: არ მოუპოვებია] დიდი **გამარჯვება**“ („ლიტ. საქ.“)... (აქ, რა თქმა უნდა, არ ივარაუდება ისეთი შემთხვევები, როდესაც რომელიმე ადგილსა თუ ჭილდოს გარკვეული პირი ან გუნდი

რეალური კენჭისყრის შედეგად მოიპოვეს, როგორც ეს ამ ბოლო ხანებში ზოგიერთი სპორტული პაექრობის — დამატებითი გათამაშების — დროს ხდება).

ზშირად ენაში, ნაცვლად სახელურ-ზმნური ფორმისა წილად ხვდა, ამავე მნიშვნელობით გამოიყენება მისი ოდენ ზმნური ნაწილი ხვდა-ასეთ შემთხვევებში, გარდა იმისა, რომ სახელებსა და ზმნას შორის სემანტიკური შეუსაბამობაა, აღნიშნული ზმნის ამ ფორმით ხმარებაც გაუმართლებელია ენობრივი თვალსაზრისით. მაგალითად: „ერთეულთა თანრიგში ოქროს მედლები ხვდათ იან ჰოფმანს და ანეტ პეტჩს [უნდა იყოს: დაიმსახურეს, მოიპოვეს იან ჰოფმანმა და ანეტ პეტჩმა]“ („ლელო“); „ვერცხლის მედლები ხვდათ მოსკოველ ნ. პეტრუსიოვას და მინსკელ იჟ შელეზოვსკის [უნდა იყოს: დაიმსახურეს, მოიპოვეს ნ. პეტრუსიოვამა და ი. შელეზოვსკიმ]“ („ლელო“); „ვერცხლის მედალი ხვდა ანდრეას ერიგს [უნდა იყოს: დაიმსახურა, მოიპოვა ანდრეას ერიგმა]“ („ლელო“); „7 ქულით მეორე ადგილი ხვდა მოსკოვის ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლის გუნდს [უნდა იყოს: მეორე ადგილზე... გამოვიდა... გუნდი]“ („თბილ.“); „...შაშხანიდან სროლაში სპარტაკილის ჩემპიონის წოდება ხვდა არმიელ ა. ხორიაშვილს [უნდა იყოს: მოიპოვა არმიელმა ა. ხორიაშვილმა]“ („თბილ.“); „გამარჯვება ისევე ხვდა საბჭოთა სპორტსმენს [უნდა იყოს: მოიპოვა, ან: გაიმარჯვა საბჭოთა სპორტსმენმა]“ („ლელო“)...

წილნაპარი; წილნაპარობა იხ. წილ-.

წილხვედრი იხ. წილ-.

წინ. აღრინდელი ვითარების აღსანიშნავად წინ, წინათ ზმნისართების ფუნქციით მათი ტრადიციული ანტონიმის უმართებულოდ გამოყენების შესახებ იხ. უკან.

წყალობით. ზმნისართი წყალობით, ჩვეულებრივ, თანდებულის ფუნქციით იხმარება. იგი მიღებულია სახელისაგან წყალობა, რომელიც აღნიშნავს: კეთილგანწყობილებას, კარგ დამოკიდებულებას, სიკეთეს, კარგ რამეს. წყალობით კი ნიშნავს: (ვისიმე, რისამე) მიზეზით, მეოხებით (იხ.), გამო, გამოისობით. მაგრამ, ამასთანავე, მას ძირითადად შენარჩუნებული აქვს ამოსავალი ფორმის ლექსიკური მნიშვნელობა და უმეტესად იხმარება იმ შემთხვევებში, როდესაც რაიმე საქმეში ვისიმე ან რისამე დადებითი როლისა და მათი მოქმედების სასურველი შედეგის შესახებ ლაპარაკობენ: „ვართ ღვთისა და თქვენი წყალობით კარგა“ (ჭ. ლომთ.); „კეთილი ხალხის წყალობით ლუკმასა ვჭამ“ (ა. ყაზბ.); „მათი თავგანწირული თამაშის წყალობით გუნდი ინიციატივას დაეუფლა“ („ლელო“)... მაგრამ ბოლო ხანებში სიტყვამ, როგორც ჩანს, გაითავრობა მოხმარების არე და ენაში გამოიყენება

არა მხოლოდ ვისიმე ან რისამე დადებითი როლისა თუ მოქმედების სასურველი შედეგის გადმოსაცემად, არამედ საერთოდ მიზეზის გამო-სახატავად, მაგ.: „ამ გარემოების წყალობით კავკასიის არქეოლოგიურ-შესწავლას... შემთხვევითი ხასიათი აქვს.“ (ივ. ჯავახ.)...

ხშირად წყალობით ფრაზაში გადატანითი, ირონიული მნიშვნელო-ბითაც იხმარება და თავისი თავდაპირველი, ამოსავალი ლექსიკური მნიშვნელობის საწინააღმდეგო აზრს იძენს — ვისიმე ან რისამე უარ-ყოფით როლსა თუ მოქმედების არასასურველ შედეგს გამოხატავს და ეს ხდება უმრავლეს შემთხვევაში მაშინ, როდესაც იგი წინადადებაში უკავშირდება ადამიანის საკუთარ, და საერთოდ, ვინ ჯგუფის სახე-ლებს, ან მათ შემცველ პირის ნაცვალსახელებს: „დღეს შენი და სამხონის წყალობით სამართალი ვეღარ ქრის სამართალს“ (გ. წერეთ.); „იმას ყველა ყბად იღებს... ნინოს წყალობით“ (ქ. ლომ.); „აი, შეილო, შენი წყალობით როგორ თავზე ლაფი დამასხეს“ (შ. არაგვ.)...

ამრიგად, წყალობით კონტექსტში ხშირად განსხვავებულ შინაარსს ავლენს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართული ენის განვითარების თა-ნამედროვე ეტაპზე მას ჯერ კიდევ არ დაუტარგავს მთლიანად თავისი თავდაპირველი ლექსიკური მნიშვნელობა. ამიტომ, თუ ფრაზაში ირო-ნია ან გადატანითი მნიშვნელობა არ ივარაუდება, მისი დაკავშირება ისეთ სიტყვებთან, რომელთა სემანტიკაც წინასწარ გამორიცხავს რაიმე დადებითსა თუ სასურველს (სიკვდილი, უბედურება, დაღუპვა, ვე-რაგობა, სისაძაგლე, საშინელება, მტრობა, ბოროტება, ორგულობა...), ან რომელიც საერთოდ მოქმედების უარყოფითი შედეგის გამომხა-ტველია, არ იქნება მართებული. მაგალითად: „საღდათი, რომელიც ავდრის წყალობით [უნდა იყოს: გამო] მობუზულიყო... ერთბაშად შეიძრა“ (ა. ყაზბ.); „გრიგოლის მოღვაწეობის ასპარეზის აღმნიშვნელი ადგილი შეუცვლელი დარჩენიათ და ამის წყალობით [უნდა იყოს: გამო, შედეგად] იქ გეოგრაფიულ ცნობებში ისტორიული პერსპექტი-ვაც სრულიად დარღვეულია“ (ივ. ჯავახ.); „ეს იყო ტრაგედია ისეთი ადამიანისა, რომელსაც მრავალი რამ აინტერესებდა და ყურადღების დაფანტულობის წყალობით [უნდა იყოს: გამო] ყველგან მოსცარვოდა ხელი“ (კ. გამს.); „ახია შენზე, რომ ეგრე ძვირად დაჯდომია ეგ ხელ-ნაწერი შენი დაუღვერობის წყალობით [უნდა იყოს: გამო]“ (ზ. ჭუმბ.); „ტიქნიკის ერთი ნაწილი დაუღვერობის წყალობით [უნდა იყოს: გამო] გამოსულია მწყობრიდან“ („განთ.“, ვანი); „ბევრი ცხოველი სა-ქართველოში მოისპო ან ძალზე შემცირდა მათი სულადობა უწყსრიგო-ნადირობისა და ბრაკონიერობის წყალობით [უნდა იყოს: გამო, შე-დეგად]“ („საქ. ბუნ.“); „ხელმძღვანელობის მხრივ სრული უკონტრო-

ლობისა და წყურუების წყალობით [უნდა იყოს: გამო] ამ მანქანებს მოხსნეს ის უნიკალური აპარტურა და უმოკმედოდ ყრია“ („კომ.“)...

ჰ

ჰიდილი იგეგვა, რაც: შებმა, შეჭიდება, ჭიდაობა, და იხმარება როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი, ხატოვანი მნიშვნელობით.

1) პირდაპირი მნიშვნელობით ხმარებისას ფიზიკური ორთაბრძოლა (უიარაღოდ) იგულისხმება. მაგ.: „მოდო, გავიღეთ თუნდ ზმალში, თუნდ კრივში, თუნდ **ჭიდილში**“ (ვაჟა). ამიტომ ეს სიტყვა შეუფერებელია ყოველგვარი შეჯიბრების, მათ შორის — მრავალჭიდის, ხუთჭიდის და ა. შ. სახეობათა აღსანიშნავად, რომლებშიც მონაწილეობას იღებს ერთდროულად რამდენიმე (და არა მხოლოდ ორი) მეტოქე. ამ მნიშვნელობით სიტყვა **ჭიდილის** არაზუსტი ხმარების ნიმუშია: „პოკატაევმა გუნდური შეჯიბრების დროს ხუთივე **ჭიდილი** მოიგო“ („ლელო“). მოცემულ კონტექსტს უფრო შეეფერება სიტყვა **ბრძოლა** ან **თამაში**, ან სხვაგვარად აგებული ფრაზები: შეჯიბრების ხუთსავე სახეობაში გაიმარჯვა, ანდა: ხუთჭიდის ყველა სახეობაში გამოვიდა გამარჯვებული.

2) ხატოვანი, ფიგურალური მნიშვნელობით ეს სიტყვა ძირითადად განყენებულ ცნებებთან იხმარება. მაგ.: „ჩემი დიდი ზნის გრძობა-გონების **ჭიდილი** ამ ორმა სიტყვამ უნდა გადაწყვიტოს?“ (აკაკი); „მაგრამ **ჭიდილი** შურის და რისხვის საბედისწერო აღმოჩნდა“ („ცისკ.“). თუ ამ ზმნით გამოხატული მოქმედების შემსრულებელი ადამიანია, ასეთ შემთხვევაში **ჭიდილი**, **შეჭიდება** ზმნები უმეტესწილად სხვადასხვა სახის დაბრკოლებათა აღმნიშვნელ სახელებს უკავშირდება, რომლებიც წინადადებაში ირიბი და -თან თანდებულობის უბრალო დამატების როლს ასრულებს. ეს სახელებია: **სიძნელე**, **სირთულე**, **პრობლემა**, **უსამართლობა**, **ბედი**, **საწუთრო**, **მტერი**, **ავადმყოფობა**, **სიკვდილი**, **სტიქია** და მისთ. მაგ.: „ეაშად გცოდნია **მტერთან ჭიდება**!“ (გ. ლეონ.); „მის ლექსებში ყველაზე ძალუმაღ გამოხატავნდა ქართველობის სიძნელისი, **ბედთან** მისი ვაჟკაცური **ჭიდილი**“ („ახ. კომ.“); „**ჭაბუკი** მძიმე **საქმეს შესჭიდებოდა**“ („ცისკ.“); „მშრომელი ადამიანი... **ბუნებას შეჭიდებია**, **ბუნებასთან** გაუმართავს ზელჩართული ბრძოლა“ („ლიტ. საქ.“); „— ალბათ, ისიც „დაიღალა“, ხუმრობა ხომ არ არის ასეთ **კლდესთან ჭიდილი**, — ხუმრობს ვილაყა“ („თბილ.“); „აკადემიკოსი ანგია ბოჭორიშვილი იმ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება, **სიძნელეებთან ჭიდილში**... რომ პოულობენ უდიდეს სულიერ სიამოვნებას“ („ახ.